

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის შესაბამისად, შედგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის სამსონ კუტალიას

ანგარიში

31.10.2016 წელი


ანგარიში მოიცავს 2015 წლის 30 ოქტომბრიდან 2016 წლის 31 ოქტომბრამდე პერიოდს. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 44-ე მუხლის შესაბამისად, როგორც ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვახორციელებდი შემდეგ საქმიანობას:

- ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა;
- ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება და ინიცირებაში მონაწილეობა;
- გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/თანამდებობის პირისადმი კითხვით მიმართვა;
- დ) ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის საქმიანობიდან გამომდინარე, მონაწილეობა მიღებული აქვს : 2015 წელს -საკრებულოს 4 დადგენილებისა და 17 განკარგულების პროექტის განხილვაში, აქედან კომისიაში განხილული იყო საკრებულოს 3 დადგენილებისა და 4 განკარგულების პროექტი, ხოლო 2016 წელს 29 დადგენილებისა და 70 განკარგულების პროექტის განხილვაში, აქედან კომისიამ განიხილა 8 დადგენილებისა და 36 განკარგულების პროექტი. მოსახლეობიდან და სხვადასხვა ორგანიზაციებიდან შემოსულ წერილებს გაეცა შესაბამისი პასუხი.

პერიოდულად ვხვდებოდი ამომრჩეველებს, სოციალურ, ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ პრობლემებისა და საკითხების განხილვასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრი



სამსონ კუტალია